# THE GEORGIAN CHURCH OF THE WOOD OF LIFE IN THE BLACK MOUNTAINS (ANTIOCH): THE MONASTERY IN THE WORKS OF WACHTANG DJOBADZE AND MODERN CONDITION

# „ძელი ცხორებისა“ – ქართული მონასტერი შავ მთაზე (ანტიოქია): მონასტერი ვახტანგ ჯობაძის ნაშრომებში და ძეგლის თანამედროვე მდგომარეობა[1]

**ALEKSANDRE BOSHISHVILI**
PhD in History,
Senior Researcher,
Kornelis Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts
Zaza Aleksidze Street, No. 2, Tbilisi, 1093, Georgia;
Assistant Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Ilia Chavchavadze Avenue, No. 1, Tbilisi 0179, Georgia,
+995 599 447 287
aleksandre.boshishvili@tsu.ge
https://orcid.org/0009-0003-1297-8671

**Abstract**

Wachtang Djobadze (1917-2007) was a Georgian scholar, art historian, and archaeologist. He was a professor at California State University, Los Angeles in the United States and the head of the Department of Archaeology and Art History. Wachtang Djobadze spent years researching antiquities related to Georgia abroad. He organised a number of expeditions in the Republic of Turkey, namely in the historical Tao-Klarjeti region, as well as in Antioch, Cyprus, and elsewhere. Wachtang Djobadze devoted a large part of his academic research to the study of Antioch.

Wachtang Djobadze, based on the colophons of manuscripts, wills and inscriptions, managed to accurately localise the Church of “Dzeli Tskhorebisa” (Wood of Life). He conducted an archaeological survey on the monument in 1962, 1963, and 1964. Based on the obtained materials, Wachtang Djobadze has described in detail in his monograph the issues of architecture and construction of the Church of Wood of Life. Art, ornaments and other details. The book provides reconstructions. Wachtang Djobadze believed that the Church was built by masters particularly invited from Georgia. He saw great similarities in the architecture and decoration of the Wood of Life (“Dzeli Tskhorebisa”) and Samtavisi Churches. He also studied the samples of Georgian inscriptions found in the Wood of Life.

Part of the materials discovered during Wachtang Djobadze's expeditions is naturally preserved in place. While some were used for the construction of the walls of another church constructed in a later period. Part of the antiquities are preserved in the funds of the Hatay Museum, which is located in the city of Antakya. The museum is currently closed and rehabilitation works are underway.

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [GSDP-24-1017].

The remains of the Wood of Life Monastery are still in the same condition as they were left after the expedition of Wachtang Djobadze in the 1960s. In the following years, no further work was carried out on the monument. During this time, the entire territory of the monastery has been completely covered with trees and plants. But since it is near to the road leading from the village of Yoğunoluk to Eriklikuyu, it is not difficult to get there.

**Keywords**: Georgia, Wachtang Djobadze, Antioch, Wood of Life Monastery

**ალექსანდრე ბოშიშვილი**
ისტორიის დოქტორი;
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
1093, ზაზა ალექსიძის ქუჩა №2, თბილისი, საქართველო;
ასისტენტ-პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
0179, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1, თბილისი, საქართველო
+995599447287
aleksandre.boshishvili@tsu.ge
https://orcid.org/0009-0003-1297-8671

**აბსტრაქტი**

ვახტან ჯობაძე (1917-2007), ქართველი მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი და არქეოლოგი იყო. იგი აშშ-ში კალიფორნიის ლოს ანჯელესის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პროფესორი და არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი იყო. ვახტანგ ჯობაძე წლების განმავლობაში იკვლევდა საქართველოსთან დაკავშირებულ საზღვარგარეთ არსებულ სიძველეებს. მან არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო, თურქეთის რესპუბლიკაში, ისტორიული ტაო-კლარჯეთის რეგიონში, ასევე, ანტიოქიაში, კვიპროსზე და სხვაგან. ვახტანგ ჯობაძემ თავისი სამეცნიერო კვლევის დიდი ნაწილი სწორედ ანტიოქიის შესწავლას დაუთმო.

ვახტანგ ჯობაძემ, ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების ცნობების საფუძველზე „ძელი ცხორებისას“ ტაძრის ზუსტი ლოკალიზება მოახერხა. ძეგლზე 1962, 1963 და 1964 წლებში არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა. მოპოვებული მასალის საფუძველზე ვახტანგ ჯობაძეს თავის მონოგრაფიაში დაწვრილებით აქვს აღწერილი „ძელი ცხორებისას“ ტაძარი – მისი არქიტექტურისა და მშენებლობის საკითხები, ხელოვნება, ორნამენტები და სხვა დეტალები. წიგნში მოცემულია რეკონსტრუქციები. ვახტანგ ჯობაძე მიიჩნევდა, რომ „ძელი ცხორების“ ტაძარი აგებულია საქართველოდან საგანგებოდ მიწვეული ოსტატების მიერ. იგი დიდ მსგავსებას ხედავდა „ძელი ცხორებისასა“ და სამთავისის ტაძრების არქიტექტურასა და

შემკულობაში. მანვე შეისწავლა „ძელი ცხორების“ ტაძარში მიკვლეული ქართული ეპიგრაფიკის ნიმუშები.

ვახტანგ ჯობაძის ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი მასალის ნაწილი, ბუნებრივია, რომ ადგილზეა დაცული. ზოგიერთი კი მოგვიანო ხანის მშენებლობის დროს, სოფლის ეკლესიის კედლებშია ჩაშენებული. სიძველეების ნაწილი ჰათაის გუბერნიის მუზეუმის ფონდებშია დაცული, რომელიც ქალაქ ანტაქიაში მდებარეობს. მუზეუმი ამ ეტაპზე დახურულია და მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

„ძელი ცხორებისას“ ტაძრის ნაშთები დღეისთვის (2025 წლის 11-20 აგვისტო) ისეთივე მდგომარეობაში დაგვხვდა, როგორც ვახტანგ ჯობაძის ექსპედიციის შემდეგ, XX საუკუნის 60-იან წლებში, დატოვეს. მომდევნო წლებში ძეგლზე სამუშაოები აღარ უწარმოებიათ. ამ ხნის განმავლობაში ტაძრისა და მონასტრის მთელი ტერიტორია ხე-მცენარეებს სრულიად დაუფარავს. და თითქმის გაუვალი გამხდარა. ვინაიდან ტაძრის ნაშთები სოფელ იოღუნლუქიდან სოფელ ერიქლისკენ მიმავალი გზის გვერდით მდებარეობს, მასთან მისვლა რთული არ არის.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ვახტანგ ჯობაძე, ანტიოქია, „ძელი ცხორების“ ეკლესია

## შესავალი

### ვახტანგ ჯობაძე და ანტიოქიის ქართული სიძველეების შესწავლა

ვახტან ჯობაძე (1917-2007), ქართველი მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი და არქეოლოგი იყო. თსუ-ში, პროფ. გიორგი ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით, ასპირანტურაში სწავლობდა, როდესაც მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს. ომის დასრულების შემდგომ გერმანიაში დარჩა და დასავლეთის სამეცნიერო ცენტრებში გააგრძელა სწავლა. სწავლის დასრულების შემდეგ ჯერ გერმანიაში, შემდეგ ესპანეთში, მოგვიანებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობდა. იგი აშშ-ში კალიფორნიის, ლოს ანჯელესის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი გახლდათ. ვახტანგ ჯობაძე წლების განმავლობაში იკვლევდა საქართველოსთან დაკავშირებულ საზღვარგარეთ არსებულ სიძველეებს. მან არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო, თურქეთის რესპუბლიკაში, ისტორიული ტაო-კლარჯეთის რეგიონში, ასევე, ანტიოქიაში, კვიპროსზე და სხვაგან. ვახტანგ ჯობაძემ თავისი სამეცნიერო კვლევის დიდი ნაწილი სწორედ ანტიოქიის შესწავლას დაუთმო. (Djobadze, Wachtang. (1986), ჯობაძე ვახტანგ (2001ა), 277-311; ჯობაძე, ვახტანგ (2001ბ), 418-435; Djobadze, Wachtang. (1976); ჯობაძე, ვახტანგ (2017ა); Djobadze, Wachtang. (1965a), 116-130; Djobadze, Wachtang. (1964); Djobadze, Wachtang. (1965b), 238-242; Djobadze, Wachtang. (1992); Djobadze, Wachtang. (1984), 196-209).

ვახტანგ ჯობაძის სამეცნიერო მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესია XX საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციები ანტიოქიაში. მოპოვებული მდიდარი მასალის საფუძველზე ანტიოქიის ქართული მონასტრებისა და მასთან დაკავშირებული სხვა

სიძველეები მეცნიერმა ზედმიწევნით შეისწავლა. კვლევის შედეგები მოცემულია მის ნაშრომებსა და მონოგრაფიაში („არქეოლოგიური კვლევა-ძიება ორონტის ანტიოქიის დასავლეთით მდებარე რაიონში“) (Djobadze, 1986).

**მსჯელობა**

**ქართველი ბერები ანტიოქიაში (მოკლე მიმოხილვა)**

ქართველების ინტერესი ანტიოქიის მიმართ უკვე V საუკუნიდან ჩანს,[2] ხოლო VI საუკუნიდან ეს ინტერესი უფრო გაცხოველდა. ქართველ პილიგრიმებს განსაკუთრებით აინტერესებდათ სიცოცხლეშივე წმინდანად აღიარებული სვიმეონ მესვეტე-უმცროსი (521-592) და მისი მონასტერი. სვიმეონ მესვეტისა და დედამისის, მართას ცხოვრების ავტორები ქართველი პილიგრიმების მხრიდან განსაკუთრებული პატივისცემის შესახებ საუბრობენ. ერთ-ერთი მათგანი, რომელმაც სვიმეონს სიწმინდეები მიართვა, მალე სელევკიის ეპისკოპოსიც კი გამხდარა (Djobadze, 1986; გოილაძე, 2013: 25).

არაბების დაპყრობების შემდეგ ქართველების ურთიერთობა ანტიოქიასთან შესუსტდა. 969 წელს, ბიზანტიელების მიერ ანტიოქიიდან არაბების განდევნის შემდეგ, ქართველების მიმოსვლა ანტიოქიის დასავლეთით გააქტიურდა. დაიწყო არაბების, სპარსელებისა და მიწისძვრების შედეგად დანგრეული მონასტრების განახლება. თავდაპირველად ქართველები ბერძნებთან იმყოფებოდნენ მონასტრებში. საბოლოოდ, XI საუკუნეში ქართველი ბერები იმდენად მომრავლდნენ, რომ შავ მთაზე, კასიუსის მთაზე, 14-მდე მონასტერი და ქვაბი ჰქონიათ. ქართულ მონასტრებს შორის იყო: ბარლაამის მონასტერი, სვიმეონწმინდა (მოღვაწეობდნენ: გიორგი შეყენებული, გიორგი ათონელი, გიორგი მცირე და სხვ.); რომანწმინდა (სადაც ერთხანს მოღვაწეობდნენ: გიორგი ათონელი, XI საუკუნის ცნობილი მწიგნობრები – ჯიბისძეები); „ძელი ცხორებისა“; კალიპოსი (მოღვაწეობდნენ: გიორგი ათონელი, გაბრიელ და იოანე ივან წმინდელ-საფარელნი, ბასილ თორელ-ყოფილი, ბასილ კალიპოსელი, არსენ კალიპოსელი და სხვ.); კასტანა; ეზრას მონასტერი; ლერწმისხევი; თუალთა მონასტერი, ჯუბია და სხვ.

კასიუსის მთაზე არსებულ წმ. ბარლაამის ქართულ მონასტერში, როგორც პროფ. ვახტანგ ჯობაძემ დაადასტურა, ბევრი ბერი მოღვაწეობდა და, შესაბამისად, ლიტერატურული და საგანმანათლებლო საქმიანობაც ყველაზე ნაყოფიერად აქ მიმდინარეობდა. ლიტურგია წმ. ბარლაამის მონასტერში ქართულ ენაზე სრულდებოდა. ჯვაროსნების მიერ ანტიოქიის აღების შემდეგ ქართველი ბერები მაინც აგრძელებდნენ მოღვაწეობას.

საბოლოოდ, 1268 წელს ეგვიპტისა და სირიის მამლუქთა სახელმწიფოს სულთანმა ბაიბარსმა აიღო ანტიოქია. მან შეაჩერა მონღოლების წინსვლა. ამ დროს, ჯვაროსნების უკან დაბრუნების შიშით, ბაიბარსის ჯარის ნაწილებმა სასტიკად დაარბიეს და დაანგრიეს ქრისტიანული ძეგლები, მათ შორის ქართული მონასტრები. გადარჩენილმა ბერებმა, რისი

[2] ანტიოქიის სიძველეების შესწავლით არაერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერი იყო დაინტერესებული და დღემდე მიმდინარეობს აქტიური კვლევები (იხ. ვახტანგ ჯობაძე, ელენე მეტრეველი; ლევან მენაბდე; ივანე ლოლაშვილი; თამილა მგალობლიშვილი, ვახტანგ გოილაძე, თინათინ ცერაძე, თამარ ოთხმეზური და სხვ.).

წამოღებაც შეეძლოთ წამოიღეს და საბოლოოდ დატოვეს იქაურობა. ამის შემდეგ ანტიოქიაში ქართული მონასტრების შესახებ ინფორმაცია თანდათან დავიწყებას მიეცა.[3]

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში რეგიონის შესასწავლად წამყვანი სამეცნიერო ცენტრები და სპეციალისტები მუშაობდნენ. ანტიოქიაში წლების განმავლობაში ინტენსიურად მუშაობდა პრინსტონის უნივერსიტეტის რამდენიმე ექსპედიცია (Syria (1907-1949). მეცნიერების, პედრიძეტის, სეირიგის, მესერიანის და სხვათა (Perdrizet, Paul, Fossey, Denis. 1897: 66-91; Perdrizet, 1925); Provost, 2016: 33-48; Seyrig, 1939: 177-194; Mécérian, 1965). Djobadze, 1986) მიერ მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალამ მანამდე არსებული ცოდნა მნიშვნელოვნად გაამდიდრა. თუმცა ანტიოქიის ქართული მონასტრების შესწავლის საქმეში, ვახტანგ ჯობაძის მოღვაწეობამ უდიდესი და უმთავრესი როლი შეასრულა. იგი ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს, ადგილზე შეისწავლა ქართული მონასტრები,. გამოარკვია რამდენიმე მათგანის ადგილმდებარეობა და შეისწავლა მათი როლი ქართული მწიგნობრობისა და კულტურის საქმეში (Djobadze, 1986).

**„ძელი ცხორებისას“ ქართული მონასტერი ვახტანგ ჯობაძის ნაშრომებში**

„ძელი ცხორებისას“ ქართული მონასტერი ანტიოქიაში ქართული ჰაგიოგრაფიული და ისტორიული წყაროებიდან კარგად არის ცნობილი. მონასტერი საზღვარგარეთ არსებულ სხვა ქართულ კერებთან ერთად (ანტიოქიაში, ათონზე, სინას მთაზე და სხვ.) დიდ როლს ასრულებდა ქართულ მწიგნობრულ საქმიანობაში (ოთხმეზური, თამარ (2021). ამის მიუხედავად, დიდი ხნის განმავლობაში მონასტრის ადგილმდებარეობა არ იყო გამორკვეული და, შესაბამისად, არქეოლოგიურადაც შეუსწავლელი იყო. ეს საკითხი პროფ. ვახტანგ ჯობაძემ ანტიოქიაში გადაწერილი ხელნაწერების მონაცემებზე დაყრდნობით გადაჭრა.

ვახტანგ ჯობაძე წერდა, რომ ძეგლის მდებარეობისა და აშენების დროის გასარკვევად საღვთისმსახურო წიგნის, „დიდი სვინაქსარის“ (XI ს.), ანდერძ-მინაწერები ფასდაუდებელი წყაროა. საიდანაც ჩანს, რომ ქართველმა მოღვაწეებმა დავით ჯიბისძემ და მისმა ძმისწულმა იოვანემ ანტიოქიაში რომანწმიდის მონასტრის მახლობლად ააშენეს ეკლესია – საყოფელი „წმიდისა ძელისა ცხორებისასა“. ხელნაწერი წიგნის ანდერძში პირდაპირ არ არის აღნიშნული, თუ როდის აშენდა „ძელი ცხორების“ ეკლესია, მაგრამ მასში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე მეცნიერი თვლის, რომ მონასტრის მშენებლობა XI საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო და იმავე საუკუნის ორმოციან წლებში დასრულდა (Djobadze, 1986: 118; ჯობაძე, 2017ა: 35, 86-87). ეს მოსაზრება 1959 წელს გამოთქმული ჰქონდა, ასევე, პროფ. ელენე მეტრეველს. მის ნაშრომებში მონასტრის სახელწოდება არის „ძელი ცხოველი“ (მეტრეველი, 2007: 99). ჯობაძემ დაადგინა, რომ ხელნაწერებში მოხსენიებული ეკლესია სოფ. იოღუნლუქის სიახლოვეს მდგარი ტაძრის ნანგრევები უნდა ყოფილიყო (Djobadze, 1986: 118; ჯობაძე, 2017: 35, 86-87; ჯობაძე, 2017ბ: 207).

როგორც ვახტანგ ჯობაძე წერს, სხვადასხვა დამპყრობლის შემოსევებმა, მიწისძვრებმა, აქ

[3] ისტორიული მიმოხილვა აღებულია ვახტანგ ჯობაძისა და ელენე მეტრეველის ნაშრომებიდან (Djobadze Wachtang (1986), ჯობაძე, ვახტანგ (2001ბ), 418-435; მეტრეველი, ელენე (2007), გვ. 87-107.

არსებული ძეგლები ნანგრევებად აქცია, რომელიც დროთა განმავლობაში მცენარეულობითაც იფარებოდა. მის მიერ მიკვლეული ეკლესიის შესახებ ყველაზე ადრეული ინფორმაცია, XVIII საუკუნეში ინგლისელი სასულიერო პირისა და მწერლის რიჩარდ პოუკოკის (1704-1765) ნაშრომში გვხვდება, რომელიც დაწვრილებით აღწერს ამ ადგილებს, ასახელებს სოფლებსა და ეკლესიებს. პოუკოკი ამ ეკლესიას გებურს (ინგ. Gebur) უწოდებს. ტაძარი უკვე დანგრეული ყოფილა. ის მოკლე კომენტარით შემოიფარგლება, და წერს, რომ შემორჩენილი ყოფილა მაღალი ეკლესიის ნაშთები (ინგ. "there are remains of a lofty church") (Djobadze,1986: 118).

„ძელი ცხორებისას" ეკლესია პირველად 1924 წელს ანრი სეირიგმა აღწერა პოლ პერდრიძეტისთან ერთად. მასალები არ გამოუქვეყნებია, მაგრამ თავისი მოსაზრებები და დაკვირვებები მოგვიანებით ვახტანგ ჯობაძისა და ჟან მესერიანისთვის გაუცვნია. როგორც ვახტანგ ჯობაძე წერს, ამის შემდეგ ჟან მესერიანი იყო პირველი, რომელმაც ამ ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა. ექსპედიცია ჟან მესერიანის ხელმძღვანელობით 1932 წლის 28 ოქტომბრიდან 23 ოქტომბრამდე მუშაობდა. მესერიანი ტაძარს წმინდა თომას ეკლესიას ეძახდა, რადგან ამ სოფელში მოგვიანებით, XVII საუკუნეში, დასახლებულმა სომხებმა მას ასე შეარქვეს. ჟან მესერიანის ექსპედიციის შედეგები რამდენიმე ნაშრომის სახით მოგვიანებით გამოქვეყნდა (Mécérian, 1965).

ვახტანგ ჯობაძე წერს, რომ იდეა საველე სამუშაოების საწარმოებლად, დუმბარტონ ოქსში ფრანგ მეცნიერთან, პროფესორ ანრი სეირიგთან (1895-1973) დისკუსიის დროს გაჩნდა. სეირიგი 1929 წლიდან სირიისა და ლიბანის სიძველეთა გენერალური დირექტორის თანამდებობას იკავებდა, ხოლო ოცი წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბეირუთის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი იყო.

ვახტანგ ჯობაძე წერს, რომ სამეცნიერო დისკუსიის შემდეგ, სეირიგმა ეკლესიის 17 სურათი და ორი ქართული წარწერის ასლი გაუგზავნა. ეს მასალები ჯობაძის გამოკვლევებისთვის მნიშვნელოვანი მასალა იყო და ავსებდა მის მანამდე წარმოებულ კვლევებს ანტიოქიის ქართულ სიძველეებთან დაკავშირებით. ამიტომ, მას მაშინვე მიუღია გადაწყვეტილება, რომ სეირიგის მიერ აღწერილი ძეგლი ადგილზე შეესწავლა და გამოერკვია მისი ისტორია. ამის შემდეგ მან მალევე მიიღო ოფიციალური ნებართვები არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებისთვის ანტაქიის რეგიონში, მათ შორის, ნებართვები ადგილობრივი (სოფ. იოღუნლუქის მუჰთარი) ხელმძღვანელობისა და ეკლესიის იმდროინდელი მფლობელისგანაც.

ვახტანგ ჯობაძემ „ძელი ცხორების" ტაძარში არქეოლოგიური სამუშაოები 1962 წელს დაიწყო (11 ივნისი-14 ივლისი), გააგრძელა 1963 (გაზაფხული და შემოდგომა) და 1964 წლებში. მისი მიზანი იყო ტაძრის საძირკვლის შესწავლა, წინა გათხრების გამო დაგროვებული მასალისგან ძეგლის გაწმენდა და ეკლესიის რეკონსტრუქციის მომზადება, ასევე, ყველა არქიტექტურული და სკულპტურული ნაშთის შესწავლა.

არქეოლოგიური სამუშაოების ამსახველი წინასწარი ანგარიში ვახტანგ ჯობაძემ 1965 წელს გამოაქვეყნა (Djobadze, 1965b: 238-242). მისი ანგარიში ჟან მესერიანის ნაშრომის გამოქვეყნებამდე რამდენიმე ხნით ადრე გამოვიდა. ვახტანგ ჯობაძე არ იზიარებდა ჟან მესერიანის ტაძრის აგებასთან დაკავშირებულ დასკვნებს. აღწერს მესერიანის მიერ

გამოთქმულ დაუსაბუთებელ ვერსიებს, რაც 1965 წელს გამოუცია კიდეც (Djobadze, 1986: 119). ჯობაძე ცდილობდა, რომ მისი და მესერიანის მიერ მიკვლეული არქეოლოგიური მასალა გაეცალკევებინა. თუმცა ეს საქმე გართულდა იმის გამო, რომ მესერიანმა გამოაქვეყნა, როგორც თავისი, ისე ჯობაძის არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალები. იგი წერს, რომ „მესერიანის წიგნი შეიცავს ფრაგმენტების ილუსტრაციებს, რომლებიც მე ამოვთხარე და რომლებიც შემდგომში მამა მორის ტალონმა ეკლესიაში ჩემი ნებართვის გარეშე გადაიღო.“ (Djobadze, 1986: 119) მორის ტალონი (1906-1982) ფრანგი იეზუიტი არქეოლოგი იყო, რომელიც ლიბანის პრეისტორიის შესწავლაზე მუშაობდა და მესერიანს დიდად უჭერდა მხარს (Gedeon, Charles G., Bustros, Gabriel M. (1964).

* * *

XX საუკუნის 60-იან წლებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების შედეგად პროფ. ვახტანგ ჯობაძემ შეისწავლა „ძელი ცხორების“ მონასტერი და მისი სიძველეები. მოიძია ორნამენტბიანი ქვების ნაწილი, რომლებიც მოგვიანებით სხვა ადგილებში სხვადასხვა ნაგებობების მშენებლობაში იყო გამოყენებული. ვახტანგ ჯობაძეს თავის მონოგრაფიაში დაწვრილებით აქვს აღწერილი „ძელი ცხორების“ ტაძრის არქიტექტურა და მშენებლობის საკითხები. ვრცლად განიხილავს ხელოვნებას, ორნამენტებსა და სხვა დეტალებს. წიგნში მოცემულია რეკონსტრუქციები. ვახტანგ ჯობაძე, მიიჩნევდა, რომ ტაძარი აგებული იყო საქართველოდან საგანგებოდ მიწვეული ოსტატების მიერ. იგი დიდ მსგავსებას ხედავდა „ძელი ცხორებისა“ და სამთავისის ტაძრების არქიტექტურასა და შემკულობაში (Djobadze, 1986: 119-170). ვახტანგ ჯობაძეს შესწავლილი აქვს „ძელი ცხორების“ ტაძარში მიკვლეული ქართული ეპიგრაფიკის ნიმუშები (Djobadze, 1965a: 116-130; Djobadze, 1986: 211-213).

„ძელი ცხორებისას“ ეკლესიის კარიბჭის თაღზე ამოკვეთილი, კიდურწაისრული ასომთავრულით შესრულებული წარწერის ფრაგმენტები: „...[უზ(ე)შ]თ(ა)ესთა გ(ა)ლ(ო)ბ(ა)თა“; მეორე, „...[უგ(ა)ლ(ო)ბ]დ(ე) ღ(მერ)თ(ს)ა || და რ(ათ)ა წყრ(ომი)თ...“; მესამე, “[ს(ა)]ხლსა...“; მეოთხე, „...[ა]თა“. წარწერებს ვახტანგ ჯობაძე XI საუკუნით ათარიღებს და ფრაგმენტების გაერთიანებით ტექსტი ასე აქვს აღდგენილი, „უზეშთაესთა გალობათა, უგალობდეთ ღმერთსა და რათა წყრომით...“, იგი ფსალმუნის თავისუფალ გადმოცემას წარმოადგენს (Djobadze, 1986: 211-213).

ვახტანგ ჯობაძე თვლის, რომ „ძელი ცხორებისას“ ეკლესიის კარიბჭის თაღზე და ტაძრის ჩრდილო კედლის წარწერები, ისევე როგორც ტაძრის არქიტექტურა, საქართველოდან საგანგებოდ მიწვეული სპეციალისტების მიერ იყო შესრულებული, რომელიც, თავის მხრივ „ორგანულად“ უკავშირდება ბარლაამისა და ლერწმისხევის ეკლესიის წარწერებს (Djobadze, 1986: 211-212; ჯობაძე, 2001ბ: 425).

## შედეგები

### „ძელი ცხორებისას“ მონასტრის ნაშთები

„ძელი ცხორებისას“ ქართული მონასტრის ნაშთები თურქეთის რესპუბლიკაში,

ისტორიულ ანტიოქიის მხარეში, თანამედროვე ჰათაის პროვინციაში, სამანდაღის (თურქ. Samandağ) რაიონის სოფელ იოღუნოლუქის (თურქ. Yoğunoluk) ჩრდილო დასავლეთით, სოფ. ერიქლისკენ (თურქ. Eriklikuyu) მიმავალი გზის მარჯვნივ მდებარეობს.[4]

ჰათაის პროვინცია (ანტიოქია) 2023 წლის თებერვალში მომხდარმა დამანგრეველმა მიწისძვრამ ძლიერ დააზარალა. ქალაქში, და ზოგადად რეგიონში, ინტენსიური სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. მასშტაბური ნგრევის მიუხედავად, ქალაქის მშენებლობა ალბათ მალე დასრულდება.

„ძელი ცხორებისას“ სიძველეების ნაწილი დღეს ჰათაის გუბერნიის მუზეუმის ფონდებშია დაცული, რომელიც ქალაქ ანტაქიაშია. მუზეუმი ამ ეტაპზე დახურულია და მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. ვახტანგ ჯობაძის ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი მასალის ნაწილი, ბუნებრივია, რომ ადგილზეა დაცული. ზოგიერთი კი სხვადასხვა ადგილას, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოგვიანო ხანის მშენებლობის დროს სოფლის ეკლესიის კედლებშიცაა ჩაშენებული.

„ძელი ცხორების“ ტაძრის ნაშთები დღეისთვის ისეთივე მდგომარეობაში დაგვხვდა, როგორც ექსპედიციის შემდეგ, XX საუკუნის 60-იან წლებში, დატოვეს. მომდევნო წლებში ძეგლზე სამუშაოები აღარ უწარმოებიათ. ამ ხნის განმავლობაში ტაძრისა და მონასტრის მთელი ტერიტორია ხე-მცენარეებს სრულიად დაუფარავს. და თითქმის გაუვალი გამხდარა. ვინაიდან ეკლესიის ნაშთები სოფელ ერიქლისკენ მიმავალი გზის გვერდით არის, მასთან მისვლა რთული არ არის. სამომავლოდ კარგი იქნება, თუკი გზაზე ძეგლის შესახებ მიმანიშნებელი წარწერა გაკეთდება. სტატიას დართული აქვს საილუსტრაციო მასალა.

[4] ქვემოთ აღწერილი მასალა მოპოვებულია პროექტის ფარგლებში მოწყობილი ექსპედიციის დროს (2025 წლის 11-20 აგვისტოს). ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ალექსანდრე ბოშიშვილი (ისტორიის დოქტორი); ლერი თავაძე (ისტორიის დოქტორი); ეკა კვირკველია (ფილოლოგიის დოქტორი); მზისა ბუსკივაძე (თურქოლოგი, ფილოლოგიის დოქტორი).

## ილუსტრაციები



**1. „ძელი ცხორების“ ტაძრის საერთო ხედი. ვახტანგ ჯობაძის მასალები**
(Djobadze, Wachtang (1986), Plate 59, fig. 232)



**2. „ძელი ცხორების“ ტაძრის კარიბჭის თაღზე ამოკვეთილი, კიდურწაისრული ასომთავრულით შესრულებული წარწერის ნაწილი**
(Djobadze, Wachtang (1986), Plate 99, fig. 404-405; ჯობაძე, ვახტანგ (2001ბ), 433)

**3. „ძელი ცხორების“ ტაძრის ნაშთები**
2025 წლის, 15 აგვისტო (ა. ბოშიშვილის ფოტო)

**4. „ძელი ცხორების“ ტაძრის ნაშთები**
2025 წლის, 15 აგვისტო (ა. ბოშიშვილის ფოტო)

**5. „ძელი ცხორების“ ტაძრის ნაშთები**
2025 წლის, 15 აგვისტო (ა. ბოშიშვილის ფოტო)

**6. „ძელი ცხორების“ ტაძრის ნაშთები, შიდა სივრცე**
2025 წლის, 15 აგვისტო (ა. ბოშიშვილის ფოტო)

**7. „ძელი ცხორების“ ტაძარი. ორნამენტული შემკულობის დეტალი**
2025 წლის, 15 აგვისტო (ა. ბოშიშვილის ფოტო)
(Djobadze, Wachtang (1986), Plate 76)

**8. „ძელი ცხორების“ ტაძარი. ორნამენტული შემკულობის დეტალი**
2025 წლის, 15 აგვისტო (ა. ბოშიშვილის ფოტო)
(Djobadze, Wachtang (1986), Plate 66, fig. 255)

**9. „ძელი ცხორების“ ტაძარი. ორნამენტული შემკულობის დეტალი**
2025 წლის, 15 აგვისტო (ა. ბოშიშვილის ფოტო)

**10. „ძელი ცხორების“ ტაძარი. ორნამენტული შემკულობის დეტალი**
2025 წლის, 15 აგვისტო (ა. ბოშიშვილის ფოტო)

**11. „ძელი ცხორების“ ტაძარი.**
**ორნამენტული შემკულობის დეტალი**
2025 წლის, 15 აგვისტო (ა. ბოშიშვილის ფოტო)
(Djobadze, Wachtang (1986), Plate 65, fig. 248)

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა


გოილაძე, ვახტანგ. (2013). ანტონ ქართველი და სვიმეონ მესვეტე (ასურულ-ქართული ურთიერთობის ისტორიიდან VI საუკუნეში). „ქართველოლოგია“, სამეცნიერო ჟურნალი. თბილისი. 2, გვ. 25-50

ლოლაშვილი, ივანე. (1978). არსენ იყალთოელი. თბილისი

მენაბდე, ლევან. (1980). ძველი ქართული მწერლობის კერები. II. თბილისი

მეტრეველი, ელენე. (2007). შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. ნაკვ. I. თბილისი, გვ. 87-107

ოთხმეზური, თამარ. (2021). შავი მთის სალიტერატურო-საღვთისმეტყველო სკოლა. ქართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის ენციკლოპედია, რედ.: თ. ირემაძე, გ. ხუროშვილი.https://encyclopedia.ge/ka/print/71# (ნახვის დრო – 20.03.2026)

ხოფერია, ლელა., ცერაძე, თინათინ (2012). ქართული სამონასტრო კოლონია ანტიოქიაში: ქართველ მკვლევართა 2011 წლის ექსპედიცია. ჟურნ. „ძველი ხელოვნება დღეს“. №3

ჯობაძე, ვახტანგ. (2017ა). მასალები ორონტის ანტიოქიის დასავლეთით მდებარე ქართული მონასტრების კვლევა-ძიებისათვის. რედაქტორები: თამილა მგალობლიშვილი, თინათინ ცერაძე, სარედაქციო ჯგუფი: ლელა ხოფერია, მზია ჯანჯალია, ნინო კვირიკაშვილი, გიორგი გაგოშიძე, ინგლისურიდან თარგმნა თამილა ებანოიძემ. თბილისი

ჯობაძე, ვახტანგ. (2017ბ). წერილები. იდეის ავტორი და შემდგენელი ზურაბ ფოცხიშვილი, სამეცნიერო რედაქტორი ზაზა სხირტლაძე. თბილისი

ჯობაძე, ვახტანგ. (2001ა). წმ. ბარლაამის მონასტერი კასიუსის მთაზე. თსუ შრომები. ტ. 338, თბილისი, გვ. 277-311

ჯობაძე, ვახტანგ. (2001ბ). წმ. ბარლაამის მონასტერი კასიუსის მთაზე: 1962-1967 წლებში გათხრების დროს გამოვლენილი ქართული სკულპტურის ნიმუშები და ეპიგრაფიკული მასალა. ჟურნ. „მრავალთავი“. №19. თბილისი, გვ. 418-435

Gedeon, Charles G., Bustros, Gabriel M. (1964). Who's who in Lebanon.

Djobadze, Wachtang (1986). Archeological Investigations in the Region West of Antioch on-the-Orontes by Wachtang Djobadze. With Contributions by M. Hendy, N. Lowick, C. Mango, D.M. Metcalf and H. Seyrig. Franz Steiner Verlag: Wiesbaden. Stuttgart. A4, 234 p. 100 p. of plates: ill. map, plans

Djobadze, Wachtang (1992). Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjet'i and Šavšet'i. Stuttgart

Djobadze, Wachtang. (1976). Materials for the study of Georgian monasteries in the Western environs of Antioch on the Orontes, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 372, Subsidia, 48

Djobadze, Wachtang. (1965a). Medieval Inscriptions in the Vicinity of Antioch on-the-Orontes. "Oriens christianus". Vol. 49, pp. 116-130

Djobadze, Wachtang. (1984). Observations on the Georgian Monastery of Yalia (Galia) in Cyprus. "Oriens Christianus". Vol. 68, pp. 196-209

Djobadze, Wachtang. (1964). Second prelimiary report on excavations in the vicinity of Antioch-on-the-Orontes. "Turk. Arkedloji Dergisi". III-2. Ankara

Djobadze, Wachtang. (1965b). Vorläufiger Bericht über Grabungen und Untersuchungen in der Gegend von

Antiochia am Orontes. “Istanbuler mitteilunden”. Band 15, pp. 238-242
Syria. (1907-1949). Syria: publications of the Princeton University Archaeological Expeditions to Syria in 1904-1905 and 1909. ოთხტომეული, დაიბეჭდა 9 მონაკვეთის სახით ლეიდენში.
Mécérian, Jean. (1965). Expédition archéologique dans l'Antiochène occidentale. Beyrouth
Perdrizet, Paul, Fossey, Denis. (1897). Voyage dans la Syrie du Nord. “Bulletin de Correspondance Hellénique”. Année, pp. 66-91
Perdrizet, Paul. (1925). Mosaïques hellénistiques inédites découvertes en Syrie. “Comptes rendus des séances de l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres”. vol. 69. n.3
Provost, Samuel. (2016). Les deux missions de Paul Perdrizet et d’Henri Seyrig en Syrie et leurs prolongements (1924-1928). Syria supplément 3. Paris, p. 33-48
Seyrig, Henri. (1939). Antiquités syriennes. Syria. Tome 20 fascicule 3, pp. 177-194

**REFERENCES**

ɡoiladze, vaχt’ang. (2013). ant’on kartveli da svimeon mesvet’e (asurul-kartuli urtiertobis ist’oriidan VI sauk’uneʃi). „kartvelologia“, sametsniero ʒurnali. tbilisi. 2, gv. 25-50
lolaʃvili, ivane .(1978). arsen iq’altoeli. tbilisi
menabde, levan. (1980). dzveli kartuli mts’erlobis k’erebi. II. tbilisi
met’reveli, elene. (2007). ʃavi mtis mts’ignobruli k’eris ist’oriisatvis XI sauk’unis p’irvel naχevarʃi. pilologiur-ist’oriuli dziebani. nak’v. I. tbilisi, gv. 87-107
otχmezuri, tamar. (2021). ʃavi mtis salit’erat’uro-saʁvtismet’q’velo sk’ola. kartuli pilosopiisa da teologiis entsik’lop’edia, red.: t. iremadze, g. χuroʃvili.https://encyclopedia.ge/ka/print/71# (naχvis dro – 20.03.2026)
χoperia, lela., tseradze, tinatin. (2012). kartuli samonast’ro k’olonia ant’iokiaʃi: kartvel mk’vlevarta 2011 ts’lis eksp’editsia. ʒurn. „dzveli χelovneba dʁes“. №3
dʒobadze, vaχt’ang (2017a). masalebi oront’is ant’iokiis dasavletit mdebare kartuli monast’rebis k’vleva-dziebisatvis. redakt’orebi: tamila mgaloblіʃvili, tinatin tseradze, saredaktsio dʒgupi: lela χoperia, mzia dʒandʒalia, nino k’virik’aʃvili, giorgi gagoʃidze, inglisuridan targmna tamila ebanoidzem. tbilisi
dʒobadze, vaχt’ang (2017b). ts’erilebi. ideis avt’ori da ʃemdgeneli zurab potsχiʃvili, sametsniero redakt’ori zaza sχirt’ladze. tbilisi
dʒobadze, vaχt’ang (2001a). ts’m. barlaamis monast’eri k’asiusis mtaze. tsu ʃromebi. t’. 338, tbilisi, gv. 277-311
dʒobadze, vaχt’ang (2001b). ts’m. barlaamis monast’eri k’asiusis mtaze: 1962-1967 ts’lebʃi gatχrebis dros gamovlenili kartuli sk’ulp’t’uris nimuʃebi da ep’igrapik’uli masala. ʒurn. „mravaltavi“. №19. tbilisi, gv. 418-435
Gedeon, Charles G., Bustros, Gabriel M. (1964). Who's who in Lebanon.
Djobadze, Wachtang (1986). Archeological Investigations in the Region West of Antioch on-the-Orontes by Wachtang Djobadze. With Contributions by M. Hendy, N. Lowick, C. Mango, D.M. Metcalf and H. Seyrig. Franz Steiner Verlag: Wiesbaden. Stuttgart. A4, 234 p. 100 p. of plates: ill. map, plans
Djobadze, Wachtang (1992). Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjet’i and Šavšet’i. Stuttgart
Djobadze, Wachtang (1976). Materials for the study of Georgian monasteries in the Western environs of Antioch

on the Orontes, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 372, Subsidia, 48

Djobadze, Wachtang (1965a). Medieval Inscriptions in the Vicinity of Antioch on the Orontes. "Oriens christianus". Vol. 49, pp. 116-130

Djobadze, Wachtang (1984). Observations on the Georgian Monastery of Yalia (Galia) in Cyprus. "Oriens Christianus". Vol. 68, pp. 196-209

Djobadze, Wachtang (1964). Second preliminary report on excavations in the vicinity of Antioch-on-the-Orontes. "Turk. Arkeoloji Dergisi". III-2. Ankara

Djobadze, Wachtang (1965b). Vorläufiger Bericht über Grabungen und Untersuchungen in der Gegend von Antiochia am Orontes. "Istanbuler mitteilungen". Band 15, pp. 238-242

Syria. (1907-1949). Syria: publications of the Princeton University Archaeological Expeditions to Syria in 1904-1905 and 1909. Four volumes, printed in 9 sections in Leiden.

Mécérian, Jean. (1965). Expédition archéologique dans l'Antiocene occidental. Beyrouth

Perdrizet, Paul, Fossey, Denis (1897). Voyage dans la Syrie du Nord. "Bulletin de Correspondance Hellénique". Année, pp. 66-91

Perdrizet, Paul. (1925). Mosaïques hellénistiques inédites découvertes en Syrie. "Comptes rendus des séances de l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres". vol. 69. n.3

Provost, Samuel. (2016). Les deux missions de Paul Perdrizet et d'Henri Seyrig en Syrie et leurs prolongements (1924-1928). Syria supplément 3. Paris, p. 33-48

Seyrig, Henri. (1939). Antiquités syriennes. Syria. Tome 20 fascicule 3, pp. 177-194